რამაზ კლიმიაშვილი:

ირანს დიდი ხანია, თავისი რაკეტები დამიზნებული აქვს თბილისზე!

*პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილთან** საუბარი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტით დავიწყეთ.*

— ბატონო რამაზ, ჰილარი კლინტონის აღმოსავლეთევროპული ტურნე 2 ივლისს დაიწყო და დღეს იგი უკვე თბილისშია. რა მიზანს ისახავდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი აღმოსავლეთ ევროპასა და, კერძოდ, საქართველოში?

— ჰილარი კლინტონის ვიზიტთან დაკავშირებით მე გავიხსენებდი რუსი კლასიკოსი მწერლის გოგოლის უკვდავ ნაწარმოებს **„რევიზორი“**, რომელიც იწყება შემდეგი ფრაზით „ მე მინდა გაცნობოთ ძალიან არასასიამოვნო ამბავი — ჩვენთან ჩამოდის რევიზორი“. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სააკაშვილს ეს ნაწარმოები წაკითხული აქვს, მაგრამ სააკაშვილმა ზუსტად იცის, რომ ჰილარი კლინტონის ვიზიტი ძალიან არასასიამოვნოა მისთვის. ქალბატონი ჰილარი სააკაშვილთან შეხვედრამდე ხვდება ოპოზიციას, ასე რომ, ის პირველ პირში მოისმენს, რა ხდება საქართველოში, როგორ გაყალბდა არჩევნები და ა.შ. (ცხადია, ოპოზიციაში თორთლაძეებს და დავითაიებს არ ვგულისხმობ, რომელთაც ოპოზიციად არავინ თვლის). სააკაშვილი ამის გამო არის გამწარებული!

ახლა გადავიდეთ შემდეგ საკითხზე. ხანდახან ვუყურებ ხოლმე ტელეკომპანია „იმედს“, რომელიც არის ბრეჟნევისდროინდელი საბჭოთა ტელევიზიის აბსოლუტური ასლი. „იმედმა“ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის უკრაინაში ყოფნის დროს გამოაცხადა, ჰილარი კლინტონი ჩავიდა უკრაინაში, სადაც ძირითადი განსახილველი საკითხი იქნება უკრაინის გაწევრიანება **ნატო**-შიო. კარგით, რა, სასაცილოა. უკრაინამ თავად გამოაცხადა, რომ **ნატო**-ში გაწევრიანებას არ აპირებს, საერთოდ არ დგას დღის წესრიგში ეს საკითხი, მაგრამ სამთავრობო არხები ასეთ ტყუილს რატომ ამბობენ, იცით? იმიტომ, რომ თავის დროზე, საქართველოს **ნატო**-ში გაწევრიანების საკითხი მიბმული იყო უკრაინაზე — თუ უკრაინა ალიანსში შევიდოდა, საქართველოსაც შეიყოლებდა. ამასთან ერთად, ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი ჯიბის ექსპერტები გამოდიან და ამბობენ, ამერიკა ბოლო დროს განსაკუთრებით დაინტერესდა საქართველოთი, ჰილარი კლინტონი საქართველოში ჩამოდის და თეთრმა სახლმა რუსეთთან მიმართებაში პირველად ახსენა სიტყვა ოკუპაციაო. ესეც ტყუილია. ჰილარი კლინტონი უკვე წელიწადნახევარზე მეტია, რაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანია და პირველად ჩამოვიდა რევიზიით ამ რეგიონში, მითუმეტეს, რომ საქართველოთი განსაკუთრებული დაინტერესება ნამდვილად არ შეიმჩნევა, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ. ობამა 6-ჯერ იყო დასავლეთ ევროპაში, ერთხელ იყო რუსეთში,აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არცერთხელ არ ყოფილა. პოლონეთში განსაკუთრებით გამწარებული არიან ამის გამო, რადგან ეს ქვეყანა ყველაზე პროამერიკული იყო. ის კი არა, ლეხ კაჩინსკის დაკრძალვაზე ამერიკის დელეგაცია საერთოდ არ ჩასულა.

— დაკრძალვაზე ჩასვლას ხომ ვულკანმა შეუშალა ხელი?

— სხვათაშორის, მაშინ სააკაშვილი ამერიკაში იყო და ამერიკიდან ჩავიდა დაკრძალვაზე, ასე რომ, ჩასვლა შესაძლებელი იყო. რა დაუჯდა საქართველოს ბიუჯეტს სააკაშვილის ჩასვლა პოლონეთში 5 ქვეყნის გავლით, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ვის აინტრესებს საქართველოს ბიუჯეტი, ეს არის სააკაშვილის პირადი ჯიბე.

მოკლედ, დავუბრუნდეთ საკითხს. ტერმინი „ოკუპაცია“ თეთრ სახლში არავის უხსენებია, ეს ჩვენმა პროპაგანდისტებმა გამოიგონეს. მიხეილ სააკაშვილს ძალიან შეწუხებული სახე ჰქონდა ობამა-მედვედევის შეხვედრის დღეს და ამ შეწუხებული სახით დააბრეხვა ტყუილი, ობამამ საჯაროდ თქვა, საქართველო ოკუპირებულიაო. თეთრი სახლის ყველა დოკუმენტი ამოღებული მაქვს და მსგავსი რამ არსად არის ნათქვამი. გამოქვეყნდა ერთადერთი პროპაგანდისტული დოკუმენტი, რომელსაც ჰქვია „ფაქტების ფურცელი გადატვირთვის შესახებ“, სადაც ჩამოთვლილია რუსეთ-ამერიკის გადატვირთვის პოლიტიკის შედეგად მიღწეული წარმატებები და ბოლოში არის ნათქვამი, რომ ერთადერთი საკითხი, რაზეც ეს ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ, ეს არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსული ჯარების არსებობა. ადრე ტყუილებს ამბობდა იაკობაშვილი, რომელიც, უნდა ვაღიაროთ, რომ პროფესიონალია ტყუილების თქმაში და ამაში იღებს ხელფასს, აბა, მეტი რა საქმე აქვს იაკობაშვილს? რომელ ინტეგრაციაზეა საუბარი, როცა დე ფაქტო კი არა, დე იურედ აქვს წართმეული რუსეთს ჩვენი ტერიტორია. ახლა ბაქრაძემაც დაიწყო ტყუილები. მე ვუყურებ ტელევიზიას, მერე შევდივარ ინტერნეტში და იმდენ ტყუილს ვხედავ... სამწუხაროდ, ყველას ვერ ვამხელ, სად მაქვს მაგის თავი, მაგრამ ყველაზე ცუდი, იცით, რა არის? — არიან ადამიანები, რომლებიც ბრმად ენდობიან ტელევიზიას. ჯერ კიდევ ვებელსმა თქვა, რაც უფრო უხეშია ტყუილი, მით უფრო ადვილად დაიჯერებენო.

— ჰილარი კლინტონის ვიზიტის შემდეგაც, ალბათ, მოგვატყუებენ რამეს.

— კი, რამეს მოიგონებენ, მაგრამ, მერწმუნეთ, სააკაშვილი გულგახეთქილი ელოდა მას. მე მახსენდება სააკაშვილის ვიზიტი პუტინთან. ალბათ, გახსოვთ, ეს იყო მისი პირველი ვიზიტი გაპრეზიდენტების შემდეგ. რამდენიმე დღით ადრე დამიძახა, რაღაც აინტერესებდა, შევხვდი... იცით, როგორ იყო შეშინებული? არც ჭამდა და არც სვამდა, მხოლოდ იმას ფიქრობდა, ვაიმე, პუტინთან მივდივარო. არ მავიწყდება მაშინ მისი სახე და ახლაც, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ჰილარი კლინტონის ვიზიტის წინ სწორედ ასეთი შეშინებული სახე ჰქონდა.

— სააკაშვილს პუტინის ეშინია?

— მე, როგორც ფსიქოლოგი, ამას ცოტა სხვანაირად ავხსნიდი. სააკაშვილს პუტინი თან უყვარს და თან სძულს. საერთოდ, სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია. **ერთი მხრივ, სააკაშვილს პუტინი მოსწონს, მისი კერპია, ყველაფერში ჰბაძავს მას და, მეორე მხრივ, სააკაშვილი პუტინს ვერ იტანს იმიტომ, რომ ვერ უტოლდება მას, ვერ არის მისნაირი.** ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის შემდეგ, რაც საქართველოში კანონები შექმნილა, ყველა რუსეთიდან არის გადმოღებული. სააკაშვილმა ხომ უწოდა პუტინს **ლილიპუტინი.** თავად სააკაშვილს შეარქვეს **მინი-პუტინი.** განსხვავება ის არის, რომ ნამდვილი პუტინი ტანად პატარაა, **მინი-პუტინი** — მოზრდილია, პუტინს ჯანმრთელი ცხოვრების წესი აქვს, რასაც სააკაშვილზე ვერ ვიტყვით.

— ბატონო რამაზ, ასეთი ეჭვიც არის, რომ სააკაშვილი რუსეთის კაცია. საქართველოს მთელი ეკონომიკა და ტერიტორია უპრობლემოდ გადასცა რუსეთს.

— რუსეთის კაციაო, ვერ ვიტყვი, ის არის იმის, ვინც თითს დაუქნევს. ის აკეთებდა იმას, რასაც ეუბნებოდნენ ბუში, დიკ ჩეინი და მაკკეინი. ახლა ხედავს, რომ ამერიკას აღარ აინტერესებს და ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ **შეიძლება, სააკაშვილმა, მაკ-კეინის დავალებით, რაღაც გააკეთოს ობამას წინააღმდეგ, რაც საქართველოსთვის იქნება ძალიან მძიმე.**

— რაზე მიანიშნებთ?

— მე ძალიან დიდი ეჭვი მაქვს და ცოტა ხანში გეტყვი, თუ შეგატყვე, რომ აპირებს ამის გაკეთებას. იგი ახლა ობამასა და ჰილარი კლინტონზე ისეა დაბოღმილი, რომ უკან არაფერზე დაიხევს, თუნდაც ეს საქართველოსთვის ძალიან ძმიმე შედეგით დასრულდეს.

— დავუბრუნდეთ კლინტონის ვიზიტს. რა შედეგს ელით ამ ვიზიტიდან?

— ჩვენ აქედან დიდ შედეგს არ უნდა ველოდოთ. თავად კლინტონისთვისაც საქართველოს საკითხი მეორეხარისხვანია. მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიზიტი აზერბაიჯანში. ალიევი ღიად იმუქრება, რომ ჯარებს შეიყვანს ყარაბაღში. გაცილებით მნიშვნელოვანია ვიზიტი სომხეთში. ამერიკას ძალიან უნდა სომხებისა და თურქების შერიგება, რადგან თურქეთი უკვე ღიად იმუქრება, **ნატო**-დან გავდივარო. ასეთ ვითარებაში, ამერიკას უნდა სომხეთთან საზღვრის გახსნა. გაცილებით მნიშვნელოვანია კლინტონის ვიზიტი პოლონეთში, სადაც პრეზიდენტის არჩევნებია და კომაროვსკის გაპრეზიდენტების შემთხვევაში მთლიანად იცვლება ევროპის პოლიტიკა. მოგეხსენებათ, კაჩინსკი იყო ამერიკის ერთადერთი დასაყრდენი ევროპაში, მაგრამ კაჩინსკის რეიტინგი მისი გარდაცვალების წინა დღეებში იყო 15% . კომაროვსკი პირდაპირ ამბობს, ჩვენ უნდა შემოვიღოთ ევროო. მას უნდა ევროკავშირში ინტეგრაცია და რუსეთთან კარგი ურთიერთობა. მოკლედ, ყველაფერი იცვლება.

— სააკაშვილმა კლინტონის ვიზიტის წინ უცნაური განცხადება გააკეთა, მზად ვარ უპირობო მოლაპარაკებისთვის რუსეთთანო. რას უნდა ნიშნავდეს ეს? როგორ ფიქრობთ, მართლა მზად არის ამისათვის?

— სააკაშვილი აცხადებს, მზად ვარ უპირობო მოლაპარაკებისთვის რუსეთთანო და იმავე წინადადების ბოლოში ის სამ პირობას უყენებს რუსეთს, თან იქვე ეჭვქვეშ აყენებს რუსეთის ხელისუფლების ლეგიტიმურობას. ეს არის სააკაშვილის სტილი, აბსოლუტური აბდაუბდა. იცით, რატომ გაკეთდა ეს? ინგლისურად სააკაშვილის სიტყვის მოკლე შინაარსი ითარგმნება ხოლმე, იმედი ჰქონდა, რომ ბოლო წინადადებას არ გადათარგმნიდნენ და ჰილარი კლინტონს ეტყოდა, აი, მე კარგი ბიჭი ვარ და რუსები ცუდები არიანო, მაგრამ ჰილარი კლინტონი ამას „ჭამს“? ამ ტექსტს თავისი ბოლო ფრაზით ამერიკის საელჩო იმ დღესვე თარგმნიდა.

— დიდი სკანდალი ატყდა რუს ჯაშუშებთან დაკავშირებით, რომლებიც ამერიკაში დააკავეს. რატომ დასჭირდა რუსეთს მედვედევის ვიზიტისა და ობამასთან ასეთი თბილი ურთიერთობის შემდეგ იქ ჯაშუშების შეგზავნა?

— ამ ჯაშუშებზე ჩვენს ტელევიზიებში უფრო დიდი ამბავი ატყდა, ვიდრე თავად ამერიკაში. აი, ახლა, ამ წუთას ამოვიღე მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ამერიკული გამოცემა „TIME“, რომელიც ბეჭდვითი სახით გაყიდვაში დღეიდან იქნება ამერიკაში. იქ პირდაპირ წერია, არცერთ დაკავებულს ჯაშუშობაში არ წაუყენეს ბრალდება. მათ ბრალს უყენებენ იმაში, რომ არიან რუსეთის ლობისტები, მაგრამ ოფიციალურად რეგისტრირებული არ არიან ლობისტებად. ასევე, 11 დაკავებულიდან ცხრას ბრალად ედება ფულის გათეთრება. რუსეთმა სრულიად მშვიდად თქვა, ესენი არიან ჩვენი მოქალაქეები, არავითარი ზიანი მათ ამერიკისთვის არ მიუყენებიათო. ამასვე წერს ამერიკული პრესა, რომ ესენი არიან არარეგისტრირებული ლობისტები. საერთოდ, ამერიკაში ლობისტური ორგანიზაციები სამართლებრივად არის დაშვებული. ამერიკაში ისრაელს ჰყავს დიდი ლობი, სომხებს უდიდესი ლობი ჰყავთ, აზერბაიჯანსაც ჰყავს ლობი. ეს რუსებიც, ჯამუშები კი არა, უბრალოდ, არარეგისტრირებული ლობისტები იყვნენ. ძალიან ღიად თქვა ამერიკამაც და რუსეთმაც, რომ ეს მათ ურთიერთობას ზიანს ვერ მოუტანს. იქვე წერია, რომ ამათ დაკავებას აპირებდნენ მედვედევის ჩასვლამდე და ობამას უთხოვია პროკურატურისთვის, იქნებ ვიზიტის შემდეგ გადავდოთო.

— გასულ კვირას ძალიან დაიძაბა ვითარება ირანში. ირანმა „მაგატესთან“ ოფიციალურად შეწყვიტა ურთიერთობა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის საზღვარზე ამერიკული სამხედრო ძალა არის მობილიზებული. ხომ არ ხედავთ ომის დაწყების საშიშროებას და რამდენად შესაძლებელია, საქართველო ჩართული იყოს ამაში?

— მე მაქვს ის ინფორმაცია, რაც წავიკითხე ირანისა და ისრაელის პრესაში. **ირანი ამტკიცებს, რომ ამერიკელებს რაკეტები საქართველოს გავლით შეუტანიათ აზერბაიჯანში.** რამდენად მართალია ეს ინფორმაცია, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამას წერს ირანის პრესა. ირანმა გადაისროლა თავისი ჯარები აზერბაიჯანის საზღვართან, რადგან ელოდება თავდასხმას. მე ვნახე აზერბაიჯანული პრესაც, სადაც აზერბაიჯანული სტრატეგიული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი უარყოფს ამ ინფორმაციას და წერს, ჩვენ რომ ასე გავაკეთოთ, ირანი რაკეტებს დაარტყამს ბაქოსა და თბილისსო. ისრაელი პირიქით ამბობს, დროზე უნდა დავარტყათ ირანს, თორემ მერე გვიან იქნებაო. კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი არის ის, რომ სამი უზარმაზარი ამერიკული ავიამზიდი დაიძრა სპარსეთის ყურისკენ. ისინი ძალიან ნელა მიდიან და სადღაც აგვისტოს დასაწყისში იქნებიან სპარსეთის ყურეში. ასე რომ, თუ სამხედრო ოპერაციის დაწყება გადაწყვეტა ამერიკამ, ეს აგვისტოს დასაწყისამდე არ იქნება. სანამ ავიამზიდები სპარსეთის ყურეში არ იდგებიან, ომს არ დაიწყებენ.

— ეს დიდი ვერაფერი იმედია ჩვენთვის. აგვისტოც მალე მოვა.

— რა თქმა უნდა, ეს დიდი ვერაფერი იმედია, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ობამა ასეთ რამეს არ გააკეთებს. სააკაშვილი კი ყველა სისულელეზე წავა და ამას ვშიშობ. ამერიკიდან დაბოღმილი ჩამოვიდა და გადაწყვეტა, ირანს დავუმტკიცებენიო. მერე იქიდან, ეტყობა, თითი დაუქნიეს და, როგორც ირანის პრესა წერს, ამერიკული რაკეტები გაუტარებია ჩვენს ტერიტორიაზე. **ასეთ ვითარებაში, თუ ამერიკამ ომი დაიწყო ირანთან, თბილისზე დარტყმა გარანტირებულია. ირანმა მშვენივრად იცის, რომ ამ რეგიონში ამერიკის ნოვერ პირველი მოკავშირე იყო საქართველო, რომელიც ბუშს სწორედ ირანზე დარტმისათვის კლაცდარმად სჭირდებოდა. ასე რომ, რაც უნდა ტკბილი ღიმილით ელაპარაკოს სააკაშვილი ახმადინეჯადს, იქახოს, სავიზო რეჟიმი გაუჭმდაო, ირანს დიდი ხანია, თავისი რაკეტები დამიზნებული აქვს თბილისზე.**

მე მაინც ობამას იმედი მაქვს, ჭკვიანი კაცია, კარგ პოლიტიკას ატარებს. მე წავიკითხე, რომ მას ყოველდღიური კონტროლის ქვეშ ჰყავს ისრაელი, რადგან ისრაელს დიდი ხანია, სურს, რომ დაარტყას ირანს. თავის დროზე ისრაელმა დაარტყა ერაყს, მაშინ სადამ ჰუსეინს ატომური ბომბის შექმნა უნდოდა და იმის შემდეგ სადამ ჰუსეინს აღარ უცდია ეს. ისრაელს უნდა, რომ იგივე გააკეთოს ირანშიც, მაგრამ იქ საქმე გაცილებით რთულად არის, ირანს უკვე აქვს ატომური ბომბი. თუ ისრაელმა მაინც გააკეთა ეს, საპასუხოდ ირანი ისრაელს ვერ მისწვდება, მაგრამ მისწვდება საქართველოს!

— ბატონო რამაზ, მოდით, ახლა შიდა ამბებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. გასულ კვირას გერმანულ გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ, თურმე, ოპოზიცია საზღვარგარეთ მყოფ ქართველ კრიმინალებთან ერთად გეგმავდა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. ცხადია, ეს შეკვეთილი და დაფინანსებული სტატია იყო, მაგრამ გაჩნდა ეჭვი, რომ ხელისუფლებას კიდევ რაღაც აქვს ჩაფიქრებული. ხომ არ არის მოსალოდნელი დაჭერების ახალი ტალღა?

— ნებისმიერი გაზეთი ნებისმიერ ინფორმაციას დაბეჭდავს, თუკი ასტრონომიულ თანხას გადაუხდიან. ბევრ გაზეთში ჩარჩოში ქვეყნდება შეკვეთილი სტატიები ან ბოლოში ეწერება, რომ დაფინანსებულია, ბევრგან ჩარჩოს გარეშე ქვეყნდება და მინაწერიც არა აქვს, მაგრამ გაზეთის ბოლოს აქვს მიწერილი, რომ რედაქცია პასუხისმგებლობას არ იღებს ყველა გამოქვეყნებულ მასალაზე. ესეც ნორმალურია თავისუფალი პრესისთვის. ეს სტატია იმდენად არასერიოზულია, რომ, სიმართლე გითხრათ, მე ცალი თვალით გადავხედე. რაც შეეხება კრიმინალებს, სააკაშვილი თავად მოვიდა ხელისუფლებაში კრიმინალების დახმარებით. ეს ყველამ იცის და სხვას რა უნდა დააბრალოს?

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, სააკაშვილი დიდი ხანია, ოცნებობს, რომ ოპოზიციის ყველა ლიდერი გაუშვას ციხეში. **კაცი, რომელმაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბაისტუშრა საიქიოს, კაცი, რომელმაც საქართველოს ნოვერ პირველი ბიზნესმენი ბაისტუშრა საიქიოს, ოპოზიციის ლიდერების ციხეში გაშვებას მოერიდება?** ცხადია, სააკაშვილს რაღაც აქვს ჩაფიქრებული, გერმანულ გაზეთს სტატიას ისე ნამდვილად არ შეუკვეთავდა, მაგრამ ახლა კლინტონის ვიზიტის მოლოდინში ვერაფერს გაბედავდა. მერე ვნახოთ, რას იზამს, ეს იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება კლინტონისა და სააკაშვილის საუბარი.

ესაუბრა
თეა ასათიანი

„ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ შეიძლება, სააკაშვილმა, მაკ-კეინის დავალებით, რაღაც გააკეთოს ობამას წინააღმდეგ, რაც საქართველოსთვის იქნება ძალიან მძიმე“